ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით შარაშიძეს

2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე

განმარტებითი ბარათი

1. ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები სულ განსაზღვრულია 21 493,7 ათასი ლარით. 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2026 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 3 058,9 ათასი ლარით. საკუთარი შემოსულობები განსაზღვრულია 21 483,7ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი N04-03/69610 04/10/2025) **14 135,8 ათასი ლარი** (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 13 352,5 ათას ლარს, საგადასახადო შემოსავლები 2026 წლის ბიუჯეტით 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 783,3 ათასით) **აქედან:**

დამატებული ღირებულების გადასახადი 11 585,8 ათასი ლარი (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 10 802,5 ათასი ლარს, 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 783,3 ათასით. ქონების გადასახადი 2 550,0 ათასი ლარი (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2 550,0 ათას ლარს) ;

გრანტები - 4 997,9 ათასი ლარი აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი 386,8 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი 4 611,1 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები 2 200,0 ათასი ლარი (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 3 404,2 ათას ლარს) **აქედან:**

შემოსავლები საკუთრებიდან - 1 740,0 ათასი მათ შორის: დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები 30,0 ათასი ლარი, რენტა - 1 710,0 ათასი ლარი, მ.შ: მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის სარგებლობისთვის 1200,0 ლარი,

მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისათვის 510,0 ათასი ლარი;

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალი შეადგენს 80,0 ათასს ლარს.

ჯარიმები, სანქციები და საურავები 350,0 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 30,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია 10.0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს.

მთლიანობაში ნაშთის ცვლილების ჩათვლით 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 21 493,7 ათას ლარს.

2. ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებისთვის საჭირო თანხების, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ: 21 493,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე დაიხარჯება 6 388,2 ათასი ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებაზე დაიხარჯება 1850,0 ათასი და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება შეადგენს 4 244,8 ათასი ლარს.

მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა და საზოგადოების ინფორმირებაზე დაიხარჯება 2,0 ათასი ლარი;

ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 30,0 ათასით;

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამაზე დაიხარჯება- 46,4 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი მოცულობა განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარი;

მგფ -ის და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე გამოყოფილია 65,0 ათასი ლარი;

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე (პროგრამული კოდი 02 00) **– 1 705,8 ათასი ლარია მიმართული, აქედან:**

გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01) ხარჯებზე მიიმართება 200,0 ათასი ლარი; გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02) ხარჯებზე მიიმართება 300,0 ათასი ლარი; გარე განათების (პროგრამული კოდი 02 02) ხარჯებზე მიიმართება 785,8 ათასი ლარი; მ.შ. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე 250,8 ათასი ლარი; გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე 5,0 ათასი ლარი, გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯისთვის გამოყოფილია 530,0 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის პროგრამაზე გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი.

საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შეძენაზე გაიხარჯება - 220,0 ათასი ლარი.

დასუფთავებასა და გარემოს დაცვის (პროგრამულიკოდი 03 00) პრიორიტეტზე გამოყოფილია **2 107,3** ათასი ლარი. მათ შორი: დასუფთავება და ნარჩენების გატანა 1920,6 ათასი ლარი, ხოლო მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 186,7 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება (პროგრამული კოდი 04 00) **3 970,0 ათასი ლარი, აქედან** :

ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს დაფინანსებაზე 3 763,0 ათასი ლარია განსაზღვრული.

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 120,0 ათასი ლარი მოხმარდება;

არაფორმალური განათლების ხელშეწყობას მოხმარდება- 35,0 ათასი ლარი;

საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოებზე - 52,0 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) **5 332,6 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან**: სპორტის განვითარების ხელშეწყობას 1 560,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის დაფინანსებაზე – 1 010,0 ათასი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს დაფინანსებაზე - 300,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ რაგბისა და ლელოს კლუბი ,,ჯანი" და ,,ღონე"-ს დაფინანსებაზე მიიმართება - 250,0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 3 685,6 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე – 1 995,0 ათასი ლარი დაიხარჯება,

საახალწლო ღონისძიებებზე დაიხარჯება - 100,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დაფინანსებაზე – 712,7 ათასი ლარი, ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებაზე - 877,9 ათასი.

ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობას 60.0 ათასი ლარი მოხმარდება.

რელიგიის დაფინანსებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დაფინანსებაზე - 17,0 ათასი ლარი აქედან:

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა - 2,0 ათასი ლარი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება- 15,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) **დაფინანსდება 1 989,8 ათასი ლარით აქედან :**

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 190,8 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი 900,0 ათასი ლარი ;

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი 3,0 ათასი ლარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება 180,0 ათასი ლარი;
- დევნილთა დახმარება 10,0 ათასი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 25,0 ათასი ლარი;

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 350,0 ათასი ლარი;
- ქალისა და კაცის თანასწორობა 5,0 ათასი ლარი;

- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება 326,0 ათასი ლარი.

სულ ჯამში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 21 493,7 ათას ლარს.